წ. I 1915 წ. ხუთშაბათი 16 აპრილი

# სამშობლო

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ... 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 58 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 58


„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.

---

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

---

ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ 1 იანვარს, ამა 1915 წ. ქ. ხაბაროვსკში გარდაიცვალა აზნაური

### გიორგი ესტატეს ძე ქაჯაია,

რომლის დაკრძალვა მოხდება იქვე.

ჭირისუფლები: აქვსენტი, ბაბილინა და ნინა ქაჯაიები და ლიდა ქაჯაიასი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს, რომ გარდაცვალებულის სულის მოსახსენებლათ პანაშვიდი იქნება გადახდილი 18 აპრილს, დღით შაბათს, დილის 11 საათზე, ქალაქ განჯის რკინის გზის სადგურის ეკლესიაში.

---

წარმოდგენა დაკლებულ ფასებში

ქუთაისის თეატრი.

ქართველ მსახ. ამხანაგობის მიერ, შაბათს, 18 აპრილს, წარმოდგენილი იქნება მეორედ ცნობილი პიესა ჰაუპტმანისა

### დაძირული ზარი

ზღაპარი 5 მოქ. თარ. ინ—ანისა.

**მონაწილენი ქალნი:** გორდელი ქს., მდივანი მარო, ქილარჯიშვილი მარგ., ჯავახიშვილი ნატ. **ვაჟნი:** არადელი-იშხნელი გ., მგალობლიშვილი ალ., მურუსიძე ანდ., სარელი ვლ., ყალაბეგიშვილი ა., ჩხეიძე დ.

**დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე.** **ფასები დაკლებულია.**

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი. ადმინისტრატორი გ. ურუშაძე.

ა ნ ო ნ ს ი: მზადდება ალ. ყალაბეგიშვილის ბენეფისი.

---

ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის

### „ძმათა პასხალიდის“ აბრეშუმის თესლი

უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში

ნიკიფორე მ. ჯანელიძის მაღაზიაში;

**ბათომსა და მათურაში მ. ს. მანუილიდის** კანტორაში და ახალსენაკში **ილია ჰაკიმიდის** მაღაზიაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე.

თ. 69.

---

### მეაბრეშუმეებს

**ომიანობის გამო** სხვადასხვა ფირმის თესლის შემოტანა **ფრიად საძნელო გახდა საზღვარგარეთიდან.** თესლის შემოტანას დიდი სიფრთხილე და თადარიგი დასჭირდა. მიუხედავათ **განსაკუთრებული დროისა,** თესლის ზოგიერთმა მოვაჭრემ გამოიტანა შეუმოწმებელი თესლი და გაზეთებშიც **განცხადების სახით** ქება-ხოტბა შეასხეს. დღევანდელ პირობებში გლეხ მეაბრეშუმეს **შეუმოწმებელი თესლის** შეძენა დაღუპვას უქადის.

მეაბრეშუმე-მწარმოებლები, რომ **არ მოტყუვდნენ** და საღი თესლის მაგიერ ცუდი თესლი არ შეიძინონ ჩვენ **„ეკონომიდის“** ფირმის თესლი შევამოწმებინეთ სათანადო მთავრობის წარმომადგენელს **სწავლულ მეაბრეშუმე აგრონომებს.**

მოგიწოდებთ—ნუ დაენდობით დღევანდელ ომიანობის გამო შექმნილ განსაკუთრებულ პირობებში **შეუმოწმებლათ შემოტანილ თესლს.** მოგვმართეთ ჩვენ—მიიღებთ ხელმისაწდომ ფასებში **თფილისის სააბრეშუმო სადგურის მიერ შემოწმებულ საღ აბრეშუმის ჭიის თესლს.**

პატივისცემით ს/ს ძმ. კუზანოვები და ტ. ბასილაძე, ა. კოლასონია.

ქუთაისი, მიხეილის ქუჩა. 6—6

---

### Кутаисское Мѣстное Управленіе Россійскаго Общества Краснаго Креста

симъ доводитъ до свѣдѣнія выдержавшихъ экзамены на званіе „сестры милосердія Краснаго Креста военнаго времени“, что онѣ при желаніи поступить на службу должны причислиться къ Тифлисской Надеждинской Общинѣ, которая и назначаетъ сестеръ милосердія въ Армію по нарядамъ Управленія Главноуполномоченнаго.

2-2-162

---

დაიბეჭდა და იყიდება კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში (ქუთაისში)

### „НОВОЕ СЛОВО“

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თვ. ფასი ყდით 2 აბაზი.

---

### გაფრთხილება.

### ს/ს გოკიელოვის—შ-ბი

ქუთაისში

**ამით აუწყებს მეაბრეშუმე-მწარმოებლებს,** რომ **გაზეთებში** გამოჩდა ცნობები შესახებ იმისა, რომ **ზოგიერთი თესლის გამყიდველები** სარგებლობენ არეული დროით და გამოაქვთ ბაზარზე ყალბი (ცუდი) თესლი და მას, (რაც ფრიად სამწუხაროა) ათასგვარი საშუალებით—სხვა და სხვა ცნობილი ფირმის თესლის სახელით ასაღებენ ხალხში. ამისათვის გასული წლების მსგავსად წელსაც **ხ. ხრისტოდულიდის** მიუცილებელ საწარმოებელი, რომ თესლის მყიდველნი მეაბრეშუმენი არ მოტყუვდენ და თავიდან აიცდინონ სიყალბე, **გაგაფრთხილოთ: დააკვირდით ჩვენს ფირმას**—გარეთ კოლოფს აქვს **იარლიკი ქართული წარწერით** (თეთრ ქაღალდზე) და ასვია **„შტემპელი“**, აწერია **„ს/ს. გოკიელოვის შ—ბი“**, შიგნით კოლოფში თეთრ ბლონდიდან გაკეთებული პატარა ტოპსიკებზე, რომელშიაც კაკალია აზის **„შტემპელი“** რუსულ-ქართული წარწერით **„ხ. ხრისტოდულიდისის“** და **ს/ს გოკიელოვის შ—ბის“**, აქვე დასმულია **ლუქით ბეჭედი,** რომლის სიმთელეს აუცილებლათ ყურადღება უნდა მიექცეს. მიაქციეთ ყურადღება,—რომ **კოლოფს ირგვლივ** შემოყოლებული სათანადო მთავრობის ბანდეროლი აუცილებლათ მთელი იყოს. თ.

---

### თესლის გაყიდვა გძელდება.

**ქუთაისის მომხმარებელთა საზოგადოების „კოოპერაციის“ გამგეობა,** თანახმათ საზოგადო კრების დადგენილებისა, ახლო მომავალში აპირებს ფურნის გახსნას. გამგეობა მოუწოდებს მცხოვრებთ **წევრებათ** ჩაეწერონ დასახელებულ საზოგადოებაში და ხელი შეუწყონ მის აღორძინებას.

წევრებათ მიიღებიან ქ. ქუთაისისა და ქუთ. გუბერნიის მცხოვრებნი ორივე სქესისა და აგრეთვე ყოველგვარი საზოგადოებანი, არტელები, ამხანაგობანი, სკოლები, საავათმყოფოები და სხვა. საწევრო გადასახადია 1 მანეთი, პაი ღირს 5 მ. როგორც წევრთა ჩაწერა, აგრეთვე პაების შეძენა შეიძლება **დღით ჩადუნელთან, შავი ქვის მრეწველთა საბჭოში** (თეატრის პირდაპირ), დილის 9—3 საათამდი.

3—1—უფ.

---

**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

---

**ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

---

კბილის ექიმები

### მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.

დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

---

### გამოცდილ სტუდენტთა ამხანაგობა

ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასისათვის. და ყველა საგანში ინჟინრის ქუჩის გადასახვევი, სახლი ანდრეევისა, ქალთა უფასო სასწავლებლის ახლოს. თ. უ.

---

**სტუდენტი, უმაღლესი დასაწყისი სასწავლებლის მასწავლებელი**—ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებლების ყველა კლასისათვის. აგრეთვე უმაღლეს დასაწყისი და ორკლასიან სასწავლებლის მასწავლებლად, „ჩინზე“ და აფთიაქის მოწაფეთ. შეიძლება მოწაფესთან სახლში სიარული. მისამართი: **ძველი თფილისის ქუჩა ყორყოლაძის სახლი.** 14—11

---

## ო მ ი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

### აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 14 აპრილი. სხვადასხვა პუნქტებზე ჩვენი ჯარი წარმატებით წინ მიიწევს, რომელსაც მავთულიანი ღობეების გადალახვა უხდება. ჩვენი ჯარი მტერს სანგარებიდან სდევნის და თან დიდმნიშვნელოვან სიმაღლეებს იპყრობს. ერთს სიმაღლეზე მოტანილ იერიშის დროს ჩვენმა ჯარმა მის დამცველთა დიდი ნაწილი ხიშტებით, დაფ—ი—ა ავსტრიელების ერთი ბატალიონი თავისი უფროსით დაატყვევა. მეორე სიმაღლეზე მიტანილ იერიშის დროს 150 დავატყვევეთ და ერთი ტყვიისმტყორცნელი ვიხელთეთ. მტრის ყველა იერიში მოვიგერიეთ და უკუვაქციეთ. ჩვენი ჯარის ერთმა ნაწილმა ავსტრიელების ერთ როტაზე იერიში მიიტანა, დაამარცხა და 27 ჯარისკაცი დაატყვევა.

**პეტროგრადი.** 14 აპრილი. ამ დღეებში ზავისლიანის რაიონში თოფისა და არტილერიის ცეცხლით იყო ბრძოლა. რამდენიმე ალაგას მძიმე არტილერია იღებდა მონაწილეობას. გალიციაში რამდენიმე პუნქტზე დუნაეცის რაიონში მტერი უმოქმედობას იჩენდა. 13 აპრილს, მტერი შეეცადა შეტევაზე გადასვლას, მაგრამ ჩვენი თოფისა და ტყვიისმტყორცნულების ცეცხლით შეჩერებულ იქნა. ჩვენი არტილერიის ცეცხლმა ავსტრიელების ჰაეროპლანი ჩამოაგდო, მფრინავი და ორი აფიცერი დავატყვევეთ. მეზოლაბორჩის გეზით პოლენას რაიონში მტერმა კონტრიერიშების მთელი რიგი მოიტანა, ყველა კონტრიერიში მოვიგერიეთ და დიდი ზარალი მივაყენეთ. ბალიგრადის რაიონში ავსტრიელების ჰაეროპლანმა ყუმბარა ჩამოაგდო, რამაც ერთი დედაკაცი და სამი ტყვე ავსტრიელი ჯარისკაცი იმსხვერპლა. კოზიუვკის რაიონში მტერი ცდილობდა ჩვენთვის „910“ 1026 მეტ. სიმაღლეები წაერთმია, ვერას გარხა და თავის პოზიციებს დაუბრუნდა. მტრის განუწყვეტელი იერიშები, დაწყებული 11—12 აპრილამდი მოვიგერიეთ, დაქსაქსული მტერი უკუიქცა და ბრძოლის ველზე აუარებელი დაჭრილ-დახოცილი დასტოვა.

**პეტროგრადი.** 14 აპრილი. კონტრიმთან ტაუროგენის გეზით მტრის მოწინავე ჯარის ნაწილებზე ჩვენმა დარაჯებმა თავდასხმა მოახდინა. ათი გერმანელი ხიშტებით დაჩეხეს და ექვსი დაატყვევეს. სვენტას სანაპიროზე მტრის ცხენოსანი დარაჯი ჩვენი მარჯვე ცეცხლის ქვეშ მოჰყვა, ორი მოკლული დასტოვა. ნემანის იქითა რაიონში გერმანელების დიდმა ძალებმა კალვარიის მიდამოებში ჩვენს პოზიციებზე იერიშები მოიტანეს, მაგრამ ჩვენ ჯვარედინ ცეცხლს ვერ გაუძლეს და დაქსაქსული უკუიქცა, დასტოვა მრავალი დაჭრილ-დახოცილი. მტრის რამდენიმე ბატარეიას ჩვენმა არტილერიამ მარჯვეთ აუტეხა სროლა, ორი მათგანი იძულებული იყო ცეცხლი შეეწყვიტა. პოლიუღებილვინოვოს ახლოს მტრის ორი კოლონა ჩვენი ყუმბარებით გაფანტულ იქნა. ოსოვეცის სიმაგრის პირზე იშვიათი სროლა იყო. აქ გერმანელებისგან ნახმარი გასასქდომი ტყვიები აღმოვაჩინეთ. გერმანელებს პროჟეკტორი დავუმსხვრიეთ. ვისლის მარჯვენა ნაპირზე დიდი ბრძოლა არ ყოფილა.

### დასავლეთის ასპარეზი.

**ლონდონი.** 14 აპრილი. ფელდმარშალი ფრენჩი იუწყება: გაცხარებული ბრძოლა ისევ გრძელდება. საერთო მდგომარეობა წინანდებურია. ჩვენ მარცხენა ფრთას, რომელმაც თავისი ადგილმდებარეობის ხაზი მოინაცვლა საფრანგეთის ჯარის უკან დახევის გამო, მტრის შეჩერება უხდებოდა. იმავე დროს სენჟულიენის იქით ჩრდილოეთიდან დასავლეთისკენ გაჭიმულმა ხაზმა დაიჭირა ინგლისის ჯარი, რის გამოც მიუხედავათ იმ სასტი-

კი წინააღმდეგობისა, რომელიც კანადის ჯარმა მტრის მოჭარბებულ ძალებს გაუწია, სენჯულიენი გერმანელებს ჩაუვარდათ ხელში. ინგლისის ბრძოლის ხაზები სენჯულიენიდან სამხრეთისკენ არის მიმართული. გუშინ მიუხედავათ მახრჩობელა გაზის ხმარებისა, იპრიდან და სალიენიდან აღმოსავლეთით გერმანელებისგან მოტანილი იერიში მოგერებულ იქნა. ინგლისელებმა ამ ბრძოლის დროს ბევრი დაატყვევეს. მტერს დიდი ზარალი მიაყენეს, თუმცა ინგლისელების ზარალიც ნაკლები არ არის. უმავთულო ტელეგრაფის საშუალებით გერმანელებისაგან გადმოცემული ცნობა იმის შესახებ, ვითომ ინგლისელებისთვის ოთხი მძიმე ზარბაზანი წაერთმიოთ, სიმართლეს მოკლებულია. დღეს ინგლისის მფრინავმა სადგურ კურერტრეს ყუმბარები დაუშინა და შეერთებული რკინის გზები გააფუჭა.

**პარიზი.** 14 აპრილი. ოფიციალური ცნობა. ბანდესანტას რაიონში ლეფონტეჟელიდან აღმოსავლეთით ჩვენ საგერი ხაზი შევკარით, რომელიც წინ გამოწეული სანგარებით გავამაგრეთ. ისარგებლეს რა ღამის სიბნელით, 13 აპრილს, ჩვენი სანგარების მარჯვენა რაიონზე გერმანელები ცდილობდენ უეცრათ მოეხდინათ თავდასხმა.

გაიარეს ის ადგილი, რომელიც მათ გამოსასვლელ გზებსა და ჩვენ თხრილებს ერთმანეთზე აშორებს. წინასწარ ჩვენ საველი თხრილები შევაერთეთ და ასაფეთქებელი ნივთიერებით ამოვავსეთ. როდესაც გერმანელებმა ეს თხრილები დაიპყრეს, ნაბრძანები გვქონდა ნაღმები აგვეფეთქებინა. საშინელმა აფეთქებამ შედიტიდან ას კილომეტრზე ყველაფერი ჰაერში აიტაცა. შემდეგ ამისა ჩვენ საფარი გავიკეთეთ და ერთი საათის განმავლობაში მტრის იერიშებს ვიგერიებდით. აფეთქებისგან თავზარდაცემული გერმანელი ჯარის კაცები თავის აფიცრებს აღარ ემორჩილებოდენ. თუ რა ძალის აფეთქება მოხდა, ამას აუარებელ დახოცილ გერმანელთა ხორცის ნაგლეჯებით მოფენილი ბრძოლის ადგილი ამტკიცებს. გერმანელებმა იერიშის განმეორება ვეღარ გაბედეს.

**პარიზი.** 14 აპრილი. საღამოს ოფიციალური ცნობა. ჩვენი პირის მარცხენა ფრთაზე იპრიდან ჩრდილოეთით ბრძოლა მოხდა. აქ მტერი უკუვაგდეთ, დიდი ზარალი მივაყენეთ და შესამჩნევათ წინ წავიწიეთ. გერმანელებმა მახრჩობელა გაზი იხმარეს, რომელსაც ერთგვარი საშუალება დაუპირდაპირეთ და შედეგიც გარგი მივიღეთ. შონიდან ჩრდილოეთით ფესთან თქვეითა ჯარის ბრძოლა მოხდა იმ ორმოს ასაღებათ, რომელიც გერმანელების ნაღმის აფეთქებამ გათხარა. მიუხედავათ მტრისგან ორჯერ მოტანილ კონტრიერიშებისა, ჩვენმა ჯარმა მტერი ორმოდან გასდევნა და შიგ გამაგრდა. შამპანში ბოსეჟურთან გერმანელები შეეცადნენ იერიში მოეტანათ, მაგრამ შევაჩერეთ.

მდინარე მაასის მარჯვენა ნაპირზე გერმანელების იერიში, რომელიც ეპარჟსენრემისა, პირისა და კოლონთან თხრილების წინააღმდეგ იყო მიმართული მოგერებულ იქნა, მიუხედავათ მათი შეტევის უკიდურესი სიმკაცრისა. ჩვენ ეპარჟის ყველა პოზიცია შევინარჩუნეთ, რომლის ფერდობებიც მტრის დახოცილ ჯარის კაცების გვამებითაა მოფენილი. შემდეგ ამისა კოლონთან გერმანელებზე რამდენჯერმე მივიტანეთ იერიში. გერმანელები აქ ორი დივიზიით იბრძოდენ. ვოგეზებზე არაჩვეულებრივ ყუმბარების დაშენის შემდეგ მტერმა გარტმანსვეილერის წვერი დაიჭირა. ამ წვეროდან ასი მეტრის მანძილზე პოზიციები გვიჭირავს, რომლის სამი პუნქტი, 10 აპრილს, იერიშით დავიპყრეთ.

## მორიგი ძირითადი საკითხი.

ბევრი რთული და უდიდესი მნიშვნელობის კითხვა წამოაყენა უკვე ომმა და კიდევ ბევრს წამოაყენებს იგი—სწერს ლონდონელი კორესპონდენტი დიონეო.

ინგლისში ამ კითხვების გამორკვევას უკვე შეუდგენ: აუარებელი ბროშურა გამოდის ახლა იქ, რომელთა შორის ყველაზე საყურადღებო „ომი და დემოკრატია" არის. ეს გამოცემა სხვადასხვა მწერალთა ნაწერების კრებულია და ამნაირათ იგი კოლლექტიურ შრომას წარმოადგენს.

ერთი გერმანიის შესახებ და გერმანიის კულტურაზე და ბრიტანეთის იმპერიაზე სწერს; მეორე (დოვერ ვილსონი) ევროპის ნაციონალურ იდეის განვითარებაზე ბჭობს და რუსეთს ეხება; მესამე (არტურ გრინვუდი) ომის სოციალურ და ეკონომიურ მხარეებს განმარტავს; მეოთხე (სეტონ ვატსონი) ავსტრია-უნგრეთზე და სამხრეთელ სლავიანებზე ლაპარაკობს; დაბოლოს ვინმე „უსახელო" ავტორი არკვევს კითხვას, რომელიც დღეს ინგლისში და სხვაგანაც ბევრს აინტერესებს; ეს კითხვა ეხება „საგარეო პოლიტიკის დემოკრატიზაციას".

მარტო ამ კოლექტიურ შრომაში აღძრულ კითხვების ანუსხვაც ნათლათ გვიჩვენებს, თუ რა ძირითადი კითხვები აღუძრავს დღევანდელ მსოფლიო ომს.

საზოგადოების სრული დემოკრატიზაცია, აი რა მთავარი და ძირითადი საჭიროება აქვს წამოყენებული დღეს ევროპის ცხოვრებას; ამიტომაც არის, რომ ზემოდასახელებული კრებულის ავტორნი თავიანთ წერილებში ამ მთავარ კითხვას სხვადასხვა მხრიდან ეხებიან; ამიტომაც ამ კრებულისათვის „ომი და დემოკრატია" დაურქმევიათ.

რადგან დემოკრატია ნამდვილათ ნიშნავს „ერს", ამიტომ ბევრს „დემოკრატიზაციის" კითხვა „ეროვნულ საკითხათ" გამოაქვს, ამიტომაც მათ გონიათ, ომმა დღეს ძირითად საკითხათ თითქო „ეროვნული კითხვა" წამოაყენა. აქედან კრებულისთვის თითქო უფრო შესაფერი იქნებოდა ეწოდებიათ: ომი და ნაციონალიზმი და ეს მით უფრო, რომ ზემოხსენებულ კრებულში ვილსონის სტატია—„ნაციონალურ იდეის განვითარება 1789-1914 წლ. ევროპაში"—ცენტრალურ ადგილს იჭერს. მაგრამ, როგორც ხედავთ, ინგლისელ პუბლიცისტ-მეცნიერთა კოლექტივს ამისთვის გვერდი აუქცევია და თავის შრომისთვის მართლაც და შესაფერი სახელი უწოდებია. ამნაირათ კითხვა მას სისწორით დაუყენებია. სხვა საქმეა, თუ როგორ გადაჭრეს ეს საკითხი ინგლისელებმა, ჩვენ მხოლოდ კითხვის სისწორით წამოყენება გვაინტერესებს. აქედან ჩვენ აშკარათ ვრწმუნდებით, თუ რამდენათ მეცნიერულია კითხვის ასე დაყენება, ე. ი. დღევანდელი ევროპიელი საზოგადოების დემოკრატიზაციის საჭიროების აღიარება.

მერე და რა კავშირი აქვს ამასთან საზოგადოების „ნაციონალიზაციას"? იკითხავს მკითხველი. მარა სანამ ამაზე ვუპასუხებდეთ, მანამ მოვისმინოთ ინგლისელ ავტორების, აზრი თუ რას ნიშნავს „საგარეო პოლიტიკის დემოკრატიზაცია"?

—„საგარეო პოლიტიკის დემოკრატიზაციაზე" ახლა, სწერს დიონეო, ინგლისის პრესაში დიდი ინტერესით ბჭობენ. ყველა ავტორები იმ დასკვნამდე მიდიან რომ საერთაშორისო ურთიერთობის საკითხი ამიერიდან დიპლომატიის საიდუმლოებას როდი უნდა შეიცავდეს, არამედ იგი ყველასათვის აშკარა უნდა იყოს. პარლამენტი მარტო ფაქტის გამოაშკარავებით როდი უნდა კმაყოფილდებოდეს, არამედ იგი სასტიკ კონტროლს უნდა უწევდეს საგარეო პოლიტიკას. „კონტროლიც ვერას გააწყობს, თუ ხალხის წარმომადგენლებს და თვითონ ხალხს—საერთაშორისო ურთიერთობის შესახებ საჭირო ცნობები და ცოდნა არა აქვს". ასე ამბობენ ზოგიერთი მწერლები ინგლისში და ამ მიზნით ორ საზოგადოებას (ლიგას) აარსებენ: „დემოკრატიული კონტროლის კავშირს" და „სოციალურ და პოლიტიკურ ცოდნათა საბჭოს".

ერთი სიტყვით „საგარეო პოლიტიკის" წარმოება ხალხის ხელში უნდა გადავიდეს, რაც დღემდის სახელმწიფოების მთავრობათა წარმომადგენლების, დიპლომატების, საიდუმლო გაიძვერულ მოქმედებას წარმოადგენდა. მართალია „საშინაო" პოლიტიკა „დემოკრატიულ-კონსტიტუციურ" ქვეყნებში მაინც კი არის ხალხის ხელში გადასული, მაგრამ „საგარეო" დღემდე მთავრობების განსაკუთრებულ უფლებაშია დარჩენილი. ინგლისში მაგალითათ ვერც ერთ ნაბიჯს ვერ გადადგამს მთავრობა შინაურ ცხოვრებაში ისე, თუ წინდაწინვე ის „თემთა პალატამ" არ განიხილა და არ მოიწონა: მაშინ როდესაც ედუარდ გრეის) ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრი) რუსეთის დიპლომატებთან შეთანხმებით „სპარსეთის პოლიტიკა" ისე მიყავს, როგორც ეს მის მის და მოკავშირე სახელმწიფოთ მთავრობებს მოეწონებათ.

ამ ნაირათ—საშინაო პოლიტიკა მთავრობის მიერ ნაწარმოები ხალხის, დემოკრატიის თანახმათ, ხოლო საგარეო კი დიპლომატების მიერ-მთავრობის მოწონებით. აქ ხალხი დაშორებულია თავის საქმეს და აი ომის გავლენით იგი მასაც მოითხოვს, რომ საგარეო პოლიტიკაც ისე, როგორც საშინაო, მას გადაეცეს საწარმოებლათ. ეს კი დღევანდელი საზოგადოებრივ სახელმწიფოებრივი ფორმის სრულს გადემოკრატებას ნიშნავს: ამახით საზოგადოების სრულიი დემოკრატიზაცია" უნდა მოხდეს.

ამას უკვე აღიარებენ დღეს ინგლისის დემოკრატიის იდეოლოგები!

მაგრამ როგორ უყურებენ ისინი ნაციონალურ საკითხს?

ამ ხრით საინტერესოა ზემოთ დასახელებულ კრებულის ერთი სტატია, რომელიც ნაციონალურ იდეის განვითარებას ეხება და რომელიც დოვერ ვილსონს ეკუთვნის.

ავტორის აზრით ევროპის ცხოვრებამ ამ უკანასკნელ ასი წლის განმავლობაში სამი დიდი, ერთი მეორის მომდევნო, იდეია წარმოშვა, რომელთა განვითარება ახალ ისტორიას სავსებით გვიხასიათებს: ნაციონალური იდეია, იდეია დემოკრატიის და ინტერნაციონალური იდეია. ავტორის შეხედულებით ეს იდეები ამავე რიგით უნდა ვითარდებოდენ. დემოკრატიული იდეია ნაციონალური თვითშემეცნების ნიადაგზე თავისუფლათ იზრდება; და მხოლოთ თავისუფალ დემოკრატთა შორის შეძლება მეგობრული განწყობილება და დაახლოვება განმტკიცდეს. (ინტერნაციონალური იდეის განხორციელება).

საფრანგეთის ერმა თავისი „დიდი რევოლიუციით" შექმნა ჯერ [illegible] დემოკრატიის [illegible] ლი იდეალი: დემოკრატიის [illegible] „საზოგადოების დემოკრატიზაცია" და მან, როგორც მოწინავე ძლიერმა ერმა მოინდომა ამ თავისი რევოლიუციონურ-ნაციონალური იდეის ქვეყნათ გავრცელება და დამყარება.

ამ ნაციონალურ-რევოლიუციონური დემოკრატიული იდეების გამტარებელი იყო „დიდი რევოლიუცია" და ნაპოლეონ პირველის მსოფლიო ომები.

მაგრამ ფრანგთა ნაციონალურ-დემოკრატიულ იდეიას წინააღუდგა ძველი ევროპის სახელმწიფოების ნაციონალურ-არისტოკრატიული ძალა და მისი მსვლელობა მალე შეაჩერა: არისტოკრატიამ დაამარცხა მაშინდელი დემოკრატია ბრძოლის ველზე, „სამღვთო კავშირმა" სძლია ნაპოლეონს და ამნაირათ ისევ გაამეფა ქვეყნათ თავისი იდეია, იდეია ნაციონალურ-არისტოკრატიული.

**დ—ელი.**

(დასასრული ხვალ).

## ქართული პრესა.

ცნობილ მწიგნობარს ზ. ჭ.—ს „თანამედროვე აზრში" (№ 35) მოუთავსებია წერილი აკაკის შესახებ და სხვათა შორის სწერს.

აკაკის და ილიას ერთი განწყობილი ცხოვრება და მეგობრობა არას დროს არ ჰქონიათ. ისინი ერთმანერთს სულ აღმაცერათ უყურებდენ, თუმცა პირადათ კი ერთმანეთის ქება დიდათ იცოდენ, საიდუმლოდ კი სულ სხვანი იყვნენ ერთმანეთზედ.

ილიასა ჰყავდა ბევრი პატივის მცემლები, ბევრი ცნობილი მოღვაწე და მწერლები, ასევე მას ჰყვანდა ამ ნაცნობთაგან თავისი მეჭორენიც, რომელნიც ილიასთან ზუთხით და არტაღით ძღებოდენ და მასთან უზიადავდენ ყოველნაირ ჭორებს, რომ ამან ის სთქვა შენზედ, შენს ნაწერზედ და იმან ის სთქვაო.

ასეთ ჭორიკანა ღაზუტჩიკებს თვითონ ილია კი არ იხმობდა თავისკენ, არამედ ისინი ეცვავდებოდენ მას სახლში და შეჰქონდათ ათასნაირი ჭორები და ცილისწამებანი. სწორეთ ასე მეჭორე პირთა ენის წყალობით გახდათ, რომ ივანე მაჩაბელი გადაეკიდა ილიას და ბოლოს ხომ მსხვერპლიც გახდა მისი.

ივანე მაჩაბელი გახდა ილიას მსხვერპლი? როგორ და რანაირათ? მოიღეთ მოწყალება და გადაჭრით აგვიხსენით იქნება ერთხელ და სამუდამოთ მართლა ბოლო მოეღოს ყოველ გვარ ჭორიკანობას.

## გიორგი მესამე.

დრამატიული ეტიუდი 4 მოქმედებათ უგან. თ-დ. გიორგი მიხეილის ძის შარვაშიძისა.

(შემდეგი იხ. „სამშობლო 58-ე №)

### მოქმედება III.

(სცენა წარმოადგენს მეფის აგარაკის ოთახს ტაბახმელაში. სცენაზე არიან მიაგული და შალვა. შალვა ხმალს ფერავს. მიაგული ჩანგურზე ნელნელა უკრავს).

**მიაგული.** (შალვას) მაშ, ეს არის შენი უკანასკნელი სიტყვა; ყოველივე კავშირი გსურს მოისპოს ჩვენს შორის?

**შალვა.** მე არ მესმის, ქალბატონო, რას უძახით კავშირს!... მე ყოველთვის მზათა ვარ ერთგულება დაგიმტკიცოთ და გიმევობროთ, თუ კი ეგენი ჩემგან დამპირდებათ და...

**მიაგული.** და ამაზე იქით აღარ მიდის თქვენი გრძნობა!. მაშ, სად მატყუებდით; რისთვის ჩამცქეროდით თვალებში! უჩემოდ ნადიმად არ სხდებოდით; უჩემოდ არ მღეროდით, არ იცინოდით. ყოველი თქვენი ხელობა და ცელლუტობა არ დაგიკლიათ!.. რად მატყუებდით აგრე უსინიდისოთ? მართალია, ბავში არა ვარ, მაგრამ (მწარედ) ეს გული... მიწამც კი დაეყარა ამ გულსა, რა ვუყო... სად დავმარხო? (თვალებზე ხელს მიიფარებს. სიჩუმე) შალვა, შალვა! მე თქვენ დამღუპეთ, წარმტაცეთ სულის სიმშვიდე. (გულმოსული) არც მე დაგზოგავ! ახლა აღარაფერი დამრჩენია ცხოვრებაში.

**შალვა.** (სიჩქარით) დაჩუმდით, მოდიან. (მიაგული ისევ ჩანგურზე უკრავს. შემოდიან: სოსლანი, მესხი და მხარგრძელი. მიაგულის სიმღერას ხმას აყოლებენ.)

**მიაგული.** (მღერის) იავ ნანა, ვარდოვ
ნანა, იავ ნანინაო,
გაზაფხულდა, ქვეყანასა სითბო ეფინაო,
გაზაფხულდა, იმ თავი ვამოიჩინა—;
იავ ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო.
გაზაფხულდა, გაიშალა ვარდისა კონაო
იადონსა ზედ ესურვა მღერა და კოცნაო,
გულში ტრფობა ჩაესვენა, შიგ
ჩაებინაო
გაზაფხულდა იავ ნანა, იავ ნანინაო
(დაჩუმდებიან ყველანი).

**სოსლანი.** შალვა! ჩვენს მოსვლამდი თუ კი იმღეროდი, ჩვენ რა დაგიშავეთ?

**შალვა.** მე არ მიმღერია!...

**მიაგული.** (სოსლანს დაცინვით) სჩანს, ბ. შალვა ტრფობის სიმღერას არ თანაუგრძნობს.

**შალვა.** სწორე მოგახსენოთ ამ დროს ჩემი გული არა სიმღერას არ თანაუგრძნობს; ჯერ კიდევ ათი დღეც არ გასულა მას აქით, რაც თორმეტიოდე ყმაწვილი, ჩვენი ამხანაგები დასწყვიტეს. ლამის მთელ საქართველოს ცეცხლი წაეკიდოს და მე რად უნდა ვიმღერო?

**მიაგული.** (დაცინვითვე). მეც ამას მოგახსენებთ, ნაზი გრძნობები თქვენ არ გეთვისებათ.

**შალვა.** ხომ არ დამცინით?

**მიაგ.** რას ბრძანებთ! დაცინვას ვით გავბედავ, მე ვამბობ მხოლოდ რომ ძლიერ მაღლა, თითქმის ცაში, ჰქრის თქვენი გონება.

**მესხი.** ხამია გული კაცისა
ზოგს სოფლის უნდა, ზოგს ცისა.

**მიაგ.** საწუთროო! ვერ მაშინო
თან მსდევს მზისა ბეჭედიო,
მე სხივითა რეტიანსა
რამგამა რამ ნაყბედიო.

**სოსლ.** ვაშა, ვაშა, პირში გაქებთ:
კარგი მოწრებული იყო ორივე ზმა.

**მხარგ.** სად არის მაგაში ზმა? ვერ გავიგე. (მიაგულთან მარტო სოსლანი დაჯდება დანარჩენები მოშორებით დადიან).

**შალვა.** (მხარგძელს) მგონია გამოცანაა.

**მიაგ.** მე გეტყვით ყმაწვილებო გამოცანას.

**მხარგ.** ო, გამოცანების ოსტატი მე ვარ. აბა, ბრძანეთ!

**მიაგ.** გამოცანას მოგახსენებთ,
დიდი არაფერია,
უგრძნობელი ქვასავითა, ერთი
სულიერია.
დღით ეწყობა რაინდულად, ღამით
კი მესტვირეა,
მგლებთან იგი საქმეს იჭერს მაგრამ
ცხვრებსაც ერია.

**შალვა.** (შეკრთება და თავისთვის) ეს რას ამბობს?! რა ამბავია?

**მხარგ.** ეგ უნდა იყოს ტურა: ღამით ჩხავის სტვირივითა მგლებსაც გაერევა და ცხვრებსაც დაერევა. (იცინიან).

**შალვა.** ნამდვილი სთქვი ზაქარია: სწორედ მშიერი ტურაა, ან მელია, რომელიც ნახირში შემოიპრება მოსატაცებლად და საქონელს რომ ვერ მოერევა გამწარდება და ჩხავილს და კბენას დაიწყებს.

**მიაგ.** (შალვას) მაგას ვისთვის ბრძანებთ? (შალვა არ უპასუხებს).

**სოსლ.** (ხმადაბლა მიაგულს) რას ნიშნავს, ჯაყელსა და თქვენს შუა ხშირად მკვახე საუბარი?

**მიაგ.** თქვენ უთუოდ ყველაფერში მნიშვნელობას ეძებთ, ბატონიშვილო!

**სოსლ.** კიდევ ბატონიშვილო?

**მიაგ.** მაშ როგორ?

**სოსლ.** ჩემი სახელი ხომ იცით?

**მიაგ.** მე არ მაქვს ნება, თქვენ სახელით გხმობდეთ.

**სოსლ.** მე გევედრებით, მიიღოთ ეგ უფლება.

**მიაგ.** ასეთ დარდიმანდულ სიტყვებს ჩემთვის რად ელევით?

**სოსლ.** სიტყვებს კი არა, დამაჩემეთ რაც გნებავთ, რომ თქვენთვის არ შევ ლიო!

**მიაგული.** ვერ შეელევით!

**სოსლანი.** მიბრძანეთ, გამოცადეთ.

**მიაგული.** (შეაცქერდება) ვერ შეელევით ლოლობას, ვერ დასტოვებთ ამხანაგობას, ვერ დააგდებთ ქეიფსა და ლხინს, მოკლეთ რომ ვსთქვათ: ვერ დასთმობთ თავისუფლებას!!

**სოსლანი.** ყოველთვის დავთმობ, მეფისა მზეშან.

**მიაგული.** (დაცინვით) რამდენი ხნითა?

**სოსლანი.** საუკუნოთ, სანამ ცოცხალი ვარ.

**მიაგული.** ვინა მყავს თავმდები?

**სოსლანი.** ჩემი გული, სული, ჩემი თავი და სინიდისი.

**მიაგული.** (გაიცინებს) ო-ო? ეს ერთობ ბევრიც არის. (ამოხვნეშით) გული!.. მარტოკა კარგი გულიც კმარა... მაგრამ!..

**სოსლანი.** მაგრამ... რა?

**მიაგული.** მაგრამ... მაგრამ.

**სოსლანი.** მაგრამ, არ გინდებვარ და ეს არი.

**მიაგული.** არ მინდებხართ?

**სოსლანი.** დიახ!

**მიაგული.** ნდომა მოსდევს სურვილსა, სურვილი-გრძნობას და გრძნობაც დარწმუნებას და კიდევ სხვა რამეებს!

**სოსლანი.** არ ვიცი, რა გითხრა: როგორ დაგარწმუნო!

**მიაგული.** სსუთ!

**ქეშიკი.** მეფე მობრძანდება (ყველა დგება. შემოდის მეფე; მას ახლავან ჯავახიანი და გამრეკელი. ნელნელა მიდიან: მეფე ათავებს დაწყებულს საუბარს).

**მეფე.** ჩემი დის მოსვლა კი მაკვირვებს, რა საქმე უნდა ჰქონდეს ისეთი, რომ ქალი მარტოკა დაავლო ისანს?! გამოგზავნილს ქეშიკს ხომ არა უთქვამს რა?

**ჯავახიანი.** არა იცის რა, მეუფეო! მხოლოდ დედოფალმა მიბრძანა, მეფეს იახელ და ჩემი მოსვლა მოახსენეო.

**მეფე.** ვნახოთ, ვნახოთ! თქვენ კი ლაზათიანად ერთობით ყმაწვილებო! ჩონგურს უკრავდი მიაგულ? აბა, დაუკარ, მეც ყურს დავუგდებ. (ჯდება) უჰ! დავიღალე... აბა, დაუკარი! დაამღერეთ ყმაწვილებო, ცოტა გავერთოთ.

**მიაგული.** (ჯდება და დაიწყებს სიმღერას, ყმაწვილები ეხმარებიან).
ყმასა ერთსა მზეშა ერქვა, მზეშინაო მზე
შინა და,
მზეშა თურმე მეფეს ახლდა, სასახლესა
გაიზარდა,
მზეშას მამას მტერი იყო ქვეყნის თურმე,
მეფისადა;
მეფემ ესა შეიტყო რა, განრისხდა და გა-
გულისდა.
სპას უბრძანა, გააგზავნა შემიტყვეთო
მტერი სადა.
მტრისა თავსა აღარ ედო ხანიგრძელი,
არცა ვადა.

მზეშამ რაკი ეს გაიგო, გაიპარა და წავიდა. (მეფე სიმღერას თანდათან უფრო უკვირდება).

**შალვა.** (თავისთვის) რას მოჰყოლია ეს შეჩვენებული?

**მიაგული.** (განაგრძობს) ყმაწვილები უხერხულობას გრძნობენ. ბ ნო, ხეირიანად ვერ ამბობენ. სიტყვებს არ იმეორებენ, მხოლოდ მარტო ხმას ააყოლებენ.
მამასა შეატყობინა, თავს უშველა და
გავიდა;
მზეშა ისევ სასახლესა დაბრუნდა მე-
ფესთან და.
აგრე მოხდა ეს ამბავი მზეშაო და მზე-
შინადა (მიაგული ათავებს სიმღერას და დგება. სიჩუმე).

**მეფე.** ეს სიმღერა, შენ, საიდან გისწავლია მიაგულ?

**მიაგული.** სოფლური სიმღერა გახლავთ ხელმწიფეო!

**მეფე.** (ვითომ გულგრილად) ამის მეტად არ გამიგონია. ახალი უნდა იყოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიტყვა

თქმული კუჭიკო გელოვანის საფლავზე ნიკო თავდგირიძისაგან.

ნამეტანი ძნელია და უხერხული საყვარელი მეგობარის ახალ გაჭრილ საფლავთან სიტყვის თქმა: არის ისეთი გარემოება, როცა გრძნობა სიტყვით არ გამოითქმება, მაგრამ რაღაც განსაკუთრებული სულიერი მოთხოვნილება მაიძულებს აქ შენი საყვარელი და სათაყვანებელი მეზობლების ლეჩხუმლების წინაშე, რომელთა მოგონება შენ ყოველთვინ ხალისს გვრიდა, თუ გრძნობას დავსძლიე, ორიოდე სიტყვით აღვნიშნო ის, თუ რა გვაწუხებს, რა გვიკლავს გულს, რა გვტანჯავს ყველა შენ ახლობელ მეგობრებს. შენ იყავი შენი განსაკუთრებული თვისება-ხასიათით ნამდვილი გამომხატველი ჩვენი ძველი ქართული კულტურის მნიშვნელობის. საუბედუროდ ჩვენდა, შენისთანები ახლანდელ პირობებში ჩვენ იშვიათად გვეყოლება; მართალია, მხოლოდ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ქართველს შეუძლია სთქვას, რომ ვითომ ჩვენი ცხოვრება არ ვითარდებოდეს; ბევრია მაგალითი იმისი, რომ ჩვენ წინ მივდივართ, ვადგივართ ვარჯიშობის გზას, მაგრამ ექვს გარეშეა ისიც, რომ ჩვენი თავისებური, ორგინალური ცხოვრების მსვლელობა შეფერხებულია, შეჩერებული, შეკვეცილი; ჩვენ ვვითარდებით, ვიძენთ სწავლა-მეცნიერებას, მაგრამ ჩვენ აღზდას ახლანდელ დროში აკლია ჩვენებური თავისებურობის განსაკუთრებული გავლენა—ძალა. ჩვენმა პატარა, რიცხვით მცირედმა, ერმა იმიტომ გაუძლო ათასწლობით უთვალავ დაბრკოლება-წინაალმდეგობა — ბრძოლას, რომ მას მრავალი საუკუნის განმავლობაში შემუშავებული ჰქონდა განსაკუთრებული სულიერი თვისება-ხასიათი, დამკვიდრებული აღზდით და შთამავლობით გადმოცემული; ამ განსაკუთრებულ ჭირში და განსაცდელში გამოსადეგი ზნე-ჩვეულებანის მეოხებით ჩვენმა ერთმა მუჭა ხალხმა შეინახა თავი სასტიკი დევნა-წვალებისაგან სარწმუნოებისა და თავისუფლების დაცვის საქმეში. აი, ამ განსხვავებული ძველი ქართული კულტურის წარმომადგენელი იყავი შენ. შენი განსაკუთრებული ხალისიანობა, მიმზიდველობა, თავაზიანობა, გულკეთილობა, სულგრძელობა ყველას ხიბლავდა და ყველას იპყრობდა, იმორჩილებდა: ამ ნაირი შენი ხასიათით აიხსნება ის რომ შენ ასე მცირე ხნის განმავლობაში ყველას საყვარელი და ყველასაგან შესამჩნევი შეიქენი ჩვენი ქვეყნის გარედ, ჩვენი ხალხისთვის უცხო ადამიანებთ შორის; შენი სიკარგე, შენი მხნეობა—გაბედულობა აღნიშნეს ჩვენზე ადრე ყველა წრის და წოდების წარმომადგენლებმა მთელ რუსთა სამფლობელოში; გარემოებით წარჩინებულ წოდებაში დაბადებული სულით მაღალი-მხნე, გაბედული, უხვი შენ იყავ დაბალ საფეხურზე მდგომ ადამიანებთან გულკეთილი, მოყვარული, გულწრფელად განწყობილი, ერთგული, აი ამ თვისებამ შეაყვარა შენი თავი არა თუ გარემოებით მაღლა მდგომ საზოგადოებას—არამედ მშრომელი და ცხოვრების ჭირვარამის მზიდველ ხალხს; შენ გიცნო თავის მოსარჩლედ, შეგითვისა ჩვენზე ადრე რუსის გლეხობამ რომელმაც იგრძნო შენში არა თავადი არამედ სანდო და საიმედო—ჩაგრულთ მოსარჩლე ადამიანი; როგორც ნამდვილი წყაროებიდან გავიგე სახელმწიფო სათათბიროს გლეხებს განსაკუთრებული ჯგუფი უნდოდათ დაეარსებიათ და მოთავედ-ხელმძღვანელად შენ გიწოდებდენ. აღსანიშნავია და პირველი შეხედულობით გასაოცარი—ეს მოვლენა: რუსი გლეხობა—ქართველს, წოდებით თავადს თავის წარმომადგენლად სახავს, მაგრამ თუ დაუკვირდებით ღრმად, ავხსნით, რომ ეს ჩვენი ცხოვრების განსაკუთრებული გარემოების მიზეზი: ჩვენი ნამდვილი ძველებური აღზდა-ჩვეულებით აღჭურვილი მაღალი წოდების წარმომადგენელი ყოველთვის სულით და გულით ახლობელი, ნათესავი და ნამდვილი შვილი იყო მთელი ხალხის განურჩევლად წოდებისა: განათლება-წოდების სხვადასხვაობა ვერ სცვლიდა მის სულიერ განწყობილებას, ამიტომ ხშირად მაღალი წოდების ადამიანი ნამდვილი გამომხატველი იყო დაბალი წრის მოთხოვნილება საჭიროების. ჩვენი ძველი შეხედულებით, ხალხთან დაახლოება—ხალხის გრძნობა განწყობილების შეთვისება-სავალდებულო იყო ყოველი მოღვაწე და საზოგადო საქმის გამგე ადამიანისათვის.

დაე, შენი რაინდული სიკვდილი, დარჩეს მაგალითად შთამამავლობისათვის: ჩვენმა მომავალმა თაობამ ისწავლოს, რომ ხალხთან ცხოვრება, ხალხის ნამდვილი სიყვარული, მისი გაჭირვება—საჭიროების შესწავლა, შეთვისება არის სავალდებულო მოთხოვნილება ყველა ნამდვილი მამულიშვილისათვის.

ჩვენ კი შენი თანამედროვენი და ახლობელი მეგობრები მუხლს ვიდრეკთ შენი საფლავის წინ და ფიცს ვსდებთ, რომ ჩვენი განსაკუთრებული თვისება-ხასიათი—კულტურა შევინახოთ და გადავსცეთ შთამომავლობას.

* *
*

შენი ქირიმე, ხანჯალო,
რკინაო ხვარასნისაო,
შენ ერთად ერთო იმედო,
მტრისაგან გამოხსნისაო.

—

გლესავ და გლესავ, მახვილო,
ამოგიფერავ გულსაო,
შენ უნდა ეძმო და ეყმო
უმართლოდ დაჩაგრულსაო.

—

ნესტარიცა ხარ, ბასრიც ხარ
ორივე გვერდით მჭრელიო
გპატრონობს გული ფოლადი
და გიპყრობს რკინის ხელიო.

—

მისი გამჩენის ქირიმე
ვინც რომ შენ გამოგჭედაო;
ქირიმე, შენი ქირიმე
მტერს აუტირე დედაო.

—

ბევრი ნაღველი შეასვა
ურჯულომ ამ ჩემ გულსაო,
შენ მიმკურნალე, მახვილო,
უმართლოდ დაჩაგრულსაო.

—

მიმოცქულე მტრის გულთან
მიუძღვენ ჩემი სალამი:
ის ვითომ საწერელია,
ჩაერჭე როგორც კალამი.

—

მისი წითელი მელნითა
შემაღებინე ჰალარა,
იმისი კვნესა იქნება
ჩემთვის დაფი და ნაღარა.*)

აკაკი.

*) რადგანაც ბ-ნ გორგის კრიტიკულ წერილებში აკაკის ქვემოდ მოყვანილი ლექსი შეცდომით სრულიად ვერ დაიბეჭდა და საუკეთესო ტაეპი გამოჰგრჩა, ამიტომ ხელახლად სავსებით ვბეჭდავთ ამ ლექსს. **რედ.**

# ახალი ამბავი.

✦ როგორც ვწერდით, 6 აპრილს, ქუთაისში, ფერმის მახლობლათ ვილაცა შანტაჟისტებმა გაიტაცეს ქუთაისში კარგათ ცნობილი ვაჭარი სტეფანე პეტრეს ძე ოცხელი. ათი დღის განმავლობაში სამაზრო და ქალაქის პოლიციამ ყოველივე ზომები მიიღეს, რომ გამტაცებლები მოენახათ, მაგრამ ვერას გახდენ.

გუშინ, 15 აპრილს, როცა ჭირისუფლებს ბ. სტეფანეს დაბრუნების შესახებ იმედი დაკარგული ჰქონდათ, იგი უეცრათ ქალაქში გაჩნდა. მეტად შეწუხებული დაბრუნდა. ეტყობა რომ ბევრი ტანჯვა გამოუვლია.

ქალაქში ხმა დადის, რომ ჭირისუფლებმა ბ. ოცხელის გამოსასყიდლათ 15 ათასი მანეთი გაიღესო.

✦ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების მეოთხე რაიონის ინსპექტორი, რომელიც დაბა-სოფლებში სკოლების დასათვალიერებლათ იყო წასული, უკვე დაბრუნდა.

✦ კავკასიის სამხედრო სამართველომ, ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა იოსელიანსა და ჯაფარიძეს, რომელთაც ქალ. ქუთაისში წყალგაღმა უბანში მღვდელ კაპანაძეზე თავდასხმა და 2,000 მანეთის გატაცება ბრალდებოდათ.

✦ 14 აპრილს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგა სამეურნეო და სანოვაგის ფასების მომწესრიგებელ კომისიის შეერთებული კრება, რომ ქუთაისის ვაჭართა შორის სანოვაგის შემოსატანათ ვაგონები გაენაწილებიათ. კრებამ სურვილი გამოსთქვა, რომ ყველაზე მეტი ვაგონები მიეცათ მეფქვილეებისათვის. ბ. მიხ. მოშიაშვილს ფქვილისათვის მისცეს 7 ვაგ., ორ-ორი ვაგონი მისცეს: ლომაძეს, ვაჩაძეს, რუხაძეს, მარ. კაკიტელაშვილს და 1 ვაგონი ნ. ჯანელიძეს. შაქრისათვის მისცეს თითო ვაგონი: გოკიელის შვილებს, ნ. ჯანელიძეს და ფ. ჰელიძეს. სიმინდისათვის: 2 ვაგონი რუხაძეს, თითო ვაგ.: ჯანელიძეს, ხეცურიანს, სულაქველიძეს, აბაიშვილს და ბარქაიას.

✦ რკინის გზის სადგურზე ღამ-ღამობით არც ერთი ეტლი არ გამოდის და მგზავრები დიდ გაჭირვებას განიცდიან.

✦ სამშაბათს, 14 აპრილს, გიმნაზიის ქუჩაზე მიმავალ ცირღილაძის ქალს დაეჯახა გაქანებული ეტლი და მსუბუქათ დააშავა.

✦ ნავთისათვის თითო ვაგონი მისცეს ბარქაიას და ნაზარიანცს მაზუთისათვის ერთი ვაგონი—ნაზარიანცს. და ქატოსათვის ერთი ვაგონი ბაზაძეს, თევზისათვის ერთი ვაგ. ჰარხალაშვილს.

✦ ქუთაისში ყვავილმა და სხვა ავათმყოფობამ ძალზე იკლო.

✦ მოუსავლობით დაზარალებულთა დამხმარე საგუბერნიო კომიტეტს ამჟამათ დიდძალი თხოვნები მოსდის სენაკისა და ოზურგეთის მაზრებიდან. იხვეწებიან სიმინდი რაც შეიძლება მალე მიაწოდონ.

✦ სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის უფროსი რწმუნებული ქუთ. ქალაქის გამგეობას ატყობინებს, რომ კავშირის გამგეობას დაუდგენია დააარსოს იურიდიული განყოფილება, რომელიც უსასყიდლოთ დახმარებას გაუწევს ომში დაჭრილთა და მოკლულების ჭირისუფლებს.

✦ წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში წლიური გამოცდები გუშინ, 15 აპრილს დასრულდა.

✦ ქუთ. ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში ამჟამათ მიმსვლელები ძალიან სწუხდებიან და ბევრი დროც ეკარგებათ. დარბაზი მიმსვლელთათვის გავსებულია ქ. ადესაში გასაგზავნი მოცვის ჩაის პარკებით. რადგანაც რკინის გზის მთავრობა საქონელს გასაგზავნათ არ ღებულობს, ჩაის პატრონები ჩაის ფოსტით გზავნიან. კარგი იქნება, რომ ფოსტის გამგეობა ასეთი საქონლის მისაღებათ ცალკე განყოფილებას გახსნიდეს.

✦ ქალაქის სანიტარმა ილია ჩაჩანიძემ ოქმი შეუდგინა ბალახვანის ქუჩაზე სანიტარული წესის დარღვევისათვის პეტრე გორდეზიანს, ფილიპე გორგიძეს, ივანე ჰაბუკიანს და ილარიონ ტოგონიძეს, ვორონცოვის ქუჩაზე, ისხაკა ბინუაშვილს და ორპირის ქუჩაზე მათე სურუხიას.

✦ ამ კვირაში რუსეთიდან ქუთაისში შემდეგი სანოვაგე მოვიდა, პურის ფქვილი 10 ვაგონი, სიმინდი 3 ვაგონი, შაქარი 2 ვაგონი, ნავთი 1 ვაგონი, თევზი 1 ვაგონი და სხვა.

### შეცდომის გასწორება

შ. იმნაიშვილის ანდერძზე მღვდლის მ. ნაცვლიშვილის მიერ ნათქვამ სიტყვის ერთი ადგილი სწორეთ ვერ არის გადმოცემული („სამშ.“ № 56) დაბეჭდილია „შენი დუმილით... ბევრს რამეს გვასწავლის ჩვენ, შენ სულიერ მამას და მასწავლებელთ“. უნდა იყოს... ბევრს რამეს გვასწავლის შენს გარშემო მყოფ ამხანაგებს, მასწავლებელთ და მსმენელებს.

### თეატრი.

დღეს, ქალაქის თეატრში დასის ად- [illegible] ფისოდ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი კომედია „დამთხეული დედაკაცი“, გადმოკეთებული შ. დადიანის მიერ და ვოდ. 1 მოქ. „რუსი [illegible]“ ადგილების ფასები ჩვეულებრივია.

—

შაბათს ქარ. მსახიობთა ამხანაგობა სდგამს მეორედ ცნობილ პიესის „დაძირული ზარი“ დაკლებულს ფასებში.

### თფილისი.

— ბანქოს მოთამაშეები. პოლიცია 8 აპრილს მოულოდნელათ თავს დაესხა სემიონოვის ქუჩაზე (№ 12) ნინო ზანდუკელის ბინას და იქ შეიპყრეს ფულზე ბანქოს მოთამაშენი 10 კაცი, დანარჩენებმა მოასწრეს მიმალვა. გამოირკვა, რომ იქ კაი ხანია დღე-ღამ თამაშობენ. მოთამაშენი და სახლის პატრონი პასუხისგებაში მისცეს.

— ქართული საქველმოქმედო საზოგადოება. ამ რამდენიმე წლის წინათ თფილისში დაარსებულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ თავისი მოქმედება გააცხოველა. მისი მოწოდება და მიზანი ნივთიერი დახმარების აღმოჩენაა გაჭირვებულთათვის და ეს ახლა, როცა საქართველოს მცხოვრებნი ნივთიერ გაჭირვებას განიცდიან დიდი საგრძნობელი იქნება. სასურველია საზოგადოებამ თავისი წვლილი გაიღოს და ბევრი წევრი ჩაეწეროს წევრათ. საწევრო გადასახადი წლიურათ უმცირესი ორი მანეთია. გარდა ამისა საზოგადოება სიამოვნებით და მადლობით მიიღებს ყველასაგან წვლილს. წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე ქართულ სამეურნეო ბანკში ბ-ნ ვას. რ. ყიფიანთას. იგივე იღებს შემოწირულებას.

— მუშათა ამქარი. თფილისის მებაღეებმა და მეაგურეებმა ითხოვეს მათთვის დაარსდეს განსაკუთრებული მებაღეთა და მეაგურეთა ამქარი (ცეხი). ამის შესახებ შუამდგომლობა უკვე აღძრეს.

— ომში დაჭრილი ქართველი ჯარისკაცნი. ივანე და ბენიამინე როსტომის ძე ორაგველიძენი 23 სექტემბერს დაჭრილან; სამკურნალოში ბენიამინეს სახადიც გამოსჩენია. ეხლა ორნივე კარგად იმყოფებიან.

### კახეთი.

— კახეთში მუშის ფასმა ძლიერ აიწია. ვენახებში მომუშავე დღეში იღებს 120—140 კაპ. მემამულის ხარჯით. თამბაქოს პლანტაციებში კი 15 წლიდან 18 წ. ბიჭი ფასობს თვეში 20—40 მ., 20 წლისა—50 მან. და დახელოვნებული მუშა 60—70 მან.

— შაბიამანი ძნელი საშოვნელი გახდა კახელებისათვის და თუ სადმე იშოვება—ისიც ფუთი არა ნაკლებ 20 მან. ზოგ მოვაჭრეს შარშანდელი ნაყიდი საქონელი აქვს და სარგებლობს გარემოებით და ძვირათ ყიდის. კარგი იქნება მიაქციონ ყურადღება და შარშანდელი შაბიამანი მაინც გააყიდვინონ ცოტა იაფად.

— 7 აპრილს, შუადღისას, იორზე მალაროელ ნაცვლიშვილის წისქვილებთან ახლო 6 ყაჩაღებს წაურთმევიათ მწყემსისთვის 3 ცხენი და მიმალულან.

# შაბიამანი და ჩვენი ვაჭრები.

მთელი იმერეთის მცხოვრებთა უმთავრეს სახსარს შეადგენს ვენახები. ყურძნის და ღვინის გაყიდვით ისინი იძენენ საჭირო სიმიდს, სამოსელს, უსაჭიროეს სანოვაგეს, იხდიან გადასახადებს და იკმაყოფილებენ ათას გვარ საჭიროებას. ამ რიგათ ვაზი, ვენახი, ღვინო, იმერელი ხალხის მეურნეობის უმთავრესი დარგია, მათი არსებობის უმთავრესი ღერძი.

— ორი საშინელი უბედურება დაატყდა შარშან თავზე ღარიბ სოფლელთ: ყურძნის მოუსავლობა და ღვინის გაყიდვის აკრძალვა ქალაქებში მთავრობის განკარგულებით. ამ ორს დაერთო მესამეც: სიმიდის მოუსავლობა გურია-სამეგრელოში, რამაც მეტათ გააძვირა პადის ქფილი და აიყვანა ფუთი ორ მანეთამდე. სიმიდის ამ სიძვირემ კიდევ უარეს გაჭირვებაში ჩააგდო ისედაც ვალებში ჩაფლული და წელში გაწყვეტილი მშრომელი ხალხი.

შავმა ბედმა ესეც არ აკმარა ამ საბრალო ხალხს. ამ ჟამათ იგი კვლავ ვარდება ახალ განსაცდელში. გამოკვირტულ ვაზებს და ვენახებს ეპირება წამლობა, საჭიროა ბლომათ შაბიამანი. ეს სასარგებლო ლურჯი მარილი შემოაქვთ უმთავ-

---

**მიაგული.** ხმა ძველი გახლავთ ბატონო და სიტყვები კი მე გავიგონე ახლა ხან.

**მეფე.** მერე ვიზედ არის ეს სიტყვები ნათქვამი?

**მიაგული.** ეგ არ ვიცი, ხელმწიფეო!

**მეფე.** (სიჩუმის შემდეგ) მიაგულ, შენ რაღაცას მალავ! სთქვი, რას ნიშნავს ეს სიმღერა?

**მიაგულ.** არ ვიცი, მეფევ ბატონო! პირი გამშრობოდა ნეტავი!.. არ მგონებია, რომ აგრე ყურს დაუგდებდით.

**შალვა** (თავისთვის) ყველაფერი სცოდნია; მღუპავ, ყუბარსან, მაგრამ შენ რაღას აპირობ?

**ჯავახიანი.** (მიაგულის) დაო ჩემო! დიდი დანაშაული ხარ, რომ ხელმწიფეს წინაშე სოფლის უაზრო სიტყვებსა და სიმღერას მოჰყოლიხარ. (სოსლანი რაღაცას ეჩურჩულება შალვას ყურში. მიაგული უკან დახევით და კრძალვით გადის).

**მეფე.** (სოსლანს და შალვას) თქვენ რას ჩურჩულებთ მანდ?

**სოსლანი.** არაფერს, ხელმწიფეო!

**მეფე.** როგორ თუ არაფერს: არ მიყვარს ასეთი უაზრო პასუხი. თუ უჩურჩულებდი, უეჭველად რამეს ეტყოდი! ან იქნებ ჩემთან დასამალავია?

**სოსლანი.** არა, ხელმწიფეო! მე ვკითხავდი შალვას, თუ გაუგონია რამე ამ სიმღერაზე.

**მეფე.** (შალვას) მართლაც, სასახლეში ნაქები მგალობელი და მომღერალი შენა ხარ; იქნებ ახსნა, ვიზედ არის ეს სიმღერა!?

**შალვა.** (ღელვითა და არეულად). მე ხელმწიფეო! მე... რა... უნდა ვიცოდე?

**მეფე.** (დააკვირდება დიდხანს) სიტყვები ხომ გაიგე კარგად: მზეშა, ერთი ყმაწვილი, მეფეს ახლდა თურმე; მისი მამა შეპყრობა სდომებია, მაგრამ მზეშა გაპარულა და შეუტყობინებია. აბა, რას იტყვი?

**შალვა.** ხელმწიფეო—

**მეფე.** ვიფიქროთ, რომ ეგ ამბავია ჩემი სასახლის. ისეთი მზეშა მე ვინ მახლავს, რომლისა სახლის კაცი ვინმე, ვთქვათ, მამა, გინდ ძმა, ჩემი მტერია? თქვენგანი ხომ, ყმაწვილებო, არავინ მტრულია? (სიჩუმე) პასუხს არ ამბობთ? მეც ვერ მივხვდი ამ საკვირველსა მოთხრობას, მაგრამ ეს ამბავი მოგავს ჯაყელსა. ფერზედაც ვერ ხარ მთლად უმანკო, ჩემო ყმაწვილო! იქნებ მზეშა შენ იყავ, დამხსნელო შვილო, და გაემგზავრე, სამშვილდესკენ, სადაც გყავდა მამა!

**გამრეკელი.** გზები შეკრული იყო, ხელმწიფეო, როგორ გავიდოდა?

**მეფე.** დიახ!.. რომელი რაზმი სპისა სდარაჯობდა სამშვილდეს?

**გამრეკელი.** კიდეც დახოცეს, ხელმწიფეო, რაზმი იგი. გადარჩა მხოლოდ სამი მხედარი და რაზმის უფროსი ოფიცალი.

**მეფე.** რომელია გადარჩენილი ოფიცალი?

**მხარგრძელი.** ჩვენ გახლდით, ხელმწიფეო: მე და წავქისელი.

**მეფე.** შენ იყავ იმ ალაგას, სადაც ჩხუბი ატყდა?

**მხარგრძელი.** სწორედ იმ ალაგს გახლდით, მეფეო!

**მეფე.** მაშ გეცოდინება! იმ ჩხუბის წინათ, ანუ შემდეგ გუშაგებმა თუ დაინახეს გამვლელი ვინმე.

**მხარგრძელი.** არა ხელმწიფეო... არავინ ისეთი!

**მეფე.** ისეთი რასა ქვიან? აი კიდევ ბრიყვული პასუხი! ჰგავს გინახავთ ვინმე! აბა, მოიგონე კარგად!

**მხარგრძელი.** ისეთი მეთქი იმიტომ მოვიჭირეთ... მაგრამ რადგან გლახაკი იყო გავუშვით.

**მეფე.** გაუშვით? ვინ მოგცათ თქვენ ეგ უფლება, რომ განსაჯოთ გლახაკი იყო, თუ დიდებული? ბრძანება მოგეცით რომ არავინ გაგეშვათ!

**მხარგრძელი.** ბრმა იყო, ხელმწიფეო!

**მეფე.** როგორ იცი, რომ ბრმა იყო? გითხრა და დაუჯერე?

**მხარგრძელი.** არა, ხელმწიფეო, გამოვცადეთ.

**მეფე.** როგორ?

**მხარგრძელი.** სატევარი წინ წაუშვირე და ჩემკენ დაუძახე. წამოვიდა პირდაპირ და ზედ წააწყდა.

**მეფე.** დაიჭრა?

**მხარგრძელი.** დიახ, მეფეო! ახლოს რომ მოვიდა ისე უშიშრად, შევატყე, რომ მართლა ბრმა იყო, გადავაქციე მახვილის წვერი, მაგრამ მაინც მოხვდა.

**მეფე.** სად მოხვდა?

**მხარგრძელი.** კარგად არ მაგონდება, ხელმწიფეო!

**მეფე.** ბრიყვი ხარ! როგორ? მახვილი ჰკარ ადამიანს და არ გახსოვს სად მოხვდა?

**მხარგრძელი.** არ ვიცი, ხელმწიფევ! მგონი სადღაც მკლავზე თუ ხელზე.

**მეფე.** იმოდენათ დაიჭრა, რომ შესაკვრელი იყო წყლული?

**მხარგრძელი.** მაგრად გახლდათ დაჭრილი მეფევ!

**მეფე.** (შალვას) გაიხსენ კაბის სახელოები და მკლავები გვაჩვენე.

**შალვა.** ხელმწიფეო! თუ ესდენ რისხვა მოავლინეთ ჩემს თავზე და საეჭვოდ გამხადეთ, დამსაჯეთ ბარემ, ხოლო ჩემს ტოლებთან კი ნუ ინებებთ ჩემს შერცხვენას.

(შემდეგი იქნება).

**უგ. თავ. გ. შერვაშიძე.**

სავაჭრო სახლი
ძმ. კუზანოვების
ქუთაისში.

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ცნობილი აბრეშუმის თესლის ფირმის „ეკონომიდის", ამით აუწყებს მეაბრეშუმეებს, რომ თესლი უკვე მივიღეთ და ვყიდით ხელსაყრელ ფასებში, პარტიობით და წვრილათ.
თესლი შემოწმებულია ტფილისის სააბრეშუმო სადგურის მიერ. მიაქციეთ ყურადღება კოლოფზე თეთრ ბანდეროლს.

სახარტით საცურო სახარჯელით და ... სუქრის
ტ. ლ. გასილაძე და ა. მ. კილასონია
ქუთაისში, მიხაილოვსკის ქ. ...
15—15

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა 3—$3\frac{1}{2}$ მანეთამდე დღეს შაბიამნის შემოტანა შეწყდა მსოფლიო ომისა და გზების დაკეტვის გამო. დარდანელის სრუტის დაკეტვამდე შესაძლებელი იყო ამ მარილის საჭირო რაოდენობის შემოტანა ჩვენში, რომ ამის შესახებ თავის დროზე ეზრუნათ სამეურნეო საზოგადოების და მევენახობა-მეღვინეობის კომიტეტს. მაგრამ, სამწუხაროთ, ეს არ მოხდა.

ნამდვილ წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ ზოგიერთ ქუთათურ ვაჭრებს ბლომად დაგროვილი ჰქონია ეს ფრიად საჭირო ნივთიერება, ე. ი. შაბიამანი და იმის მაგივრათ, რომ ამ ვაჭრებს გამოეჩინათ ადამიანობა და კეთილ გონივრობა, მათ წასძლია მსუნაგობამ, შეიპყრო გაჭივრებული ხალხის გატყავების სურვილმა, მიმართეს ჩვეულებრივ სამარცხვინო ხრიკებს, დამალეს შაბიამანი, ისარგებლეს შემთხვევით და ასწიეს ხელოვნურათ ფასები. ფუთი შაბიამნის ფასი 3—4 მანეთიდან ჯერ აიყვანეს 12—13 მანეთზე და ახლა ასწიეს 17—18 მანეთამდეც-კი, ე. ი. იგებენ ერთ მანეთზე 4 მანეთს, ე. ი. 400%-ს. ამაზე შორს მევახშეობა და გაჭივრებული ხალხის გაყვლეფა არას დროს არ წასულა და ვგონებ ვერც წავა. და ამ სასახელო საქმეს სჩადიან ქუთათური ვაჭრები და ერთი-ორი ისეთი პირიც, რომელთაგან ყველაზე ნაკლებ მოველოდით ასეთ უგვანო საქციელს. თურმე გამდიდრების სურვილი და უძლები მადა ფულისადმი ამხეცებს ინტელიგენტ ადამიანსაც კი და აშრობს მის გულში ყოველგვარ კაცურ გრძნობას და სიბრალულს უმწეო ხალხისადმი.

როგორც გავიგეთ, ჩვენს „ქებულ" ვაჭრებს შაბიამნის მეტი ნაწილი გაუყიდიათ ტფილისელ ვაჭრებზე, რომელთა შორის ბევრს ჯერაც კი არ წაუღია ეს მასალა.

ყოველივე ამან უკვე მიიქცია პრესის და საზოგადოების ყურადღება და გამოიწვია სამართლიანი გმობა და გულის წყრომა. მაგრამ რამდენიც უნდა უწყროთ ასეთ რაინდებს, ისინი ამისთანებით არ გაწითლდებიან. სადაც ფულია და მოგების, გაყვლეფის საშუალება, იქ შერცხვენას და მაღალ გრძნობებს აბა რა ადგილი აქვს!

ასეთი გმობით და საყვედურებით ჩვენ შორს ვერ წავალთ და ვერც მოვარჯულებთ იმათ, რომელთაც უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი ყვლეფენ და ჩაგრავენ დღეს იმ სოფლელთ, რომლებით თვით ისინი რჩებიან. საჭიროა მივმართოთ პრაქტიკულ საშუალებას.

როგორც გავიგეთ, ადესაში არის ბლომათ დაგროვილი შაბიამანი. იშოვება აგრეთვე საკმაოთ ეს მასალა რუმინიაშიც. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს შესაფერი ყურადღება, რაც შეიძლება საჩქაროთ; საჭიროა ადგილობრივმა ადმინისტრაციამ, სამეურნეო საზოგადოებამ და მევენახობა-მეღვინეობის კომიტეტმა მიიღონ სასწრაფოთ შესაფერი ზომები და გამოიწერონ ახლავე ან ადესიდან, ან რუმინიიდან იმდენი შაბიამანი, რამდენიც ესაჭიროება მთელი ქუთაისის გუბერნიას ამ ზაფხულის განმავლობაში. აუცილებლათ საჭიროა, რომ ეს შაბიამანი იქნას მოტანილი დაკლებული ტარიფით, რისთვისაც სახაზინოთ უნდა აღიძრას შუამავლობა გზათა მინისტრის წინაშე.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია და სპეციალური საზოგადოებანი დაეხმარებიან ხალხს ამ გაჭირვების დროს და იხსნიან მათ გახეცებულ ჩარჩების მწვავე კლანჭებისაგან, ამრიგათ მისცემენ საშუალებას ამ საბრალო სოფლელთ, რომ უწამლოთ არ დასტოვონ თავიანთი მარჩენელი ვენახები და ახლაც კიდევ არ დაეღუპოთ მთელი წლის სარჩო.

საჭიროა ამ მწვავე საკითხის შესახებ უფრო მეტათ ახმაურდენ ჩვენი პრესა და შეგნებული საზოგადოება. საჭიროა აილაგმოს ვაჭრების უსაზღვრო მსუნაგობა და მიეცეს სოფლის ხალხს იაფათ მისთვის ფრიად სასურველი შაბიამანი...

**სიმონ ქვარიანი.**

## მეპურეთა ამხანაგობა „იმედი"

(დეკ. რაჟ. ხუნდაძის წერილის გამო).

(დასასრული. იხ. „სამშობლოს" 57 №-ი).

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ხელთ არა მაქვს ამხანაგობის ანგარიშები და საბუთები და იმედი მაქვს, რომ ამ მცირე ცნობებით დაკმაყოფილდებიან, ვისაც აინტერესებს დახურული ფურნის „იმედი"-ს თავგადასავალი. თუმცა შეიძლება, მამა რაჟდენ ხუნდაძე მაინც არ დაყაბულდეს და არ უნდა შესცვალოს თავისი აზრი გამგეობის უმოქმედობაზე. როგორც ეტყობა, იგი ძლიერ გულნატკენი დარჩენილა (მართალი მოგახსენოთ არც მე ვარ მოხარული, რომ საწადელი არ განხორციელდა) და მიუქცევია ყურადღება თვისი მარტო უარყოფითი მხარეებისათვის და დადებით მხარეებს კი გვერდი აუარა. ეჭვს გარეშეა, რომ იკითხავს, აბა სად არის დადებითი მხარეები, დამანახეთო. ბატონებო, ჩემის აზრით, ფურნემ თავის დროზე დიდი სამსახური გაუწია საზოგადოებას და აი როგორ: პირველი: ამხანაგობის ფურნის გაშენების შემდეგ, რომელიც იყო ჰიგიენურათ მოწყობილი, ქალაქის თვითმართველობის მოხელეებმა მიაქციეს ყურადღება სხვა ფურნეებს და შედეგი ის იყო, რომ რამდენიმე ფურნე გადაკეთდა და სანიტარული მდგომარეობა დანარჩენებისა გაუმჯობესდა.

მეორე: ორი წლის განმავლობაში პურის ნიხრი არ აწეულა. ოყა პური იყიდებოდა რვა კაპიკათ. ქუთაისის მეფურნეები ბევრჯერ შეეცადენ ნიხრის მომატებას, მაგრამ ამხანაგობის ფურნის მეთაურნი ეწინააღმდეგებოდენ და ამით მაინც სარგებლობას აძლევდნენ მცხოვრებლებს. ეს გარემოება, მგონი, ბევრს ემახსოვრება და—ვისაც კი სურს დღესდღეობით დარწმუნდეს, შეუძლია მოითხოვოს ქალაქის გამგეობის არქივიდან საქმეები და განიხილოს.

ამ მხრით ამხანაგობამ შესძინა მცხოვრებლებს არა ერთი და ორი ათასი მანეთი. იმ დროს ქუთაისში ცხოვრობდა ვარაუდით 40,000 სული, თითო სულზე საერთაშორისოთ რომ ვიანგარიშოთ დღეში ერთი მესამედი გირვანქისა, დღეში იხარჯებოდა 13,333 ანუ 4,444 ოყა გამომცხვარი პური და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამხანაგობის ფურნის გამო ერთი კაპიკით მაინც იყო ნიხრი დაწეული, გამოვა, რომ დღეში მცხოვრებლებს ჰქონდათ ეკონომია 44 მან. ხოლო ორი წლის განმავლობაში შეეძინათ მათ 32,000 მან. მეტი. თუ ეს ანგარიში მკითხველს გაზვიადებულად მოეჩვენება, მე კიდევ დავუთმობ და ნახევარზე შევჩერდები. მგონი რომ 16.000 მან. სარგებლობაზე ვერარაფერს მეტყვის ვერც მამა რაჟდენი და ვერც სხვა.

ნუ თუ ეს ციფრები „მტკნარ სიცრუეს" წარმოადგენენ, მამაო რაჟდენ, როგორც თქვენ ბრძანებთ თქვენ წერილში. მე მგონია, რომ საზოგადოება გულგრილათ არ შეხვედროდა და ვაჭრულის თვალსაზრისით მოგების მხრით არ ეცქირა ამ საქმისათვის და ორასი თუმანი კიდევ სხვა გამოელო და ამხანაგობის ფურნე არ დახურულიყო, ბევრად მოგებული ვიქნებოდით. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამხანაგობის წევრებს ეგონათ, ლორთქიფანიძე, პურადაშვილი, ქორქაშვილი და სხ. მეფურნეობას გასწევდენ და თვითონ კი პირადად თავიანთ სამსახურსა და საქმიანობას არ უღალატებდენ:

— დიდელი ეკლესიაში, მასწავლებელი—სასწავლებელში, ხელოსანი და მოხელე—სახელოსნოში და სხვა და სხვა. ხოლო წლის დამლევს ანგარიშს მოისმენდენ და მოგებას გაინაწილებდენ. მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდათ და ნურას უკაცრავად, თუ არჩეულნი პირები გლახა მეფურნეები გამოდგენ. შეიძლება იგინი „ბროლივით" სპეტაკნი არ იყვენ, როგორც მამა რაჟდენი ამბობს, მაგრამ არც ბოროტება ჩაუდენიათ და სამ წლის უსასყიდლო სამსახურისათვის მამა რაჟდენი, მართალია, ქურდს არ უძახის, მაგრამ საზოგადო ქონების გამფლანგველის სახელს კი უწოდებს. ესეც სამარცხვიცხვია ჯილდოთ, მაგრამ ვის რა ეთქმის. ხომ მოგეხსენებათ ქართული ანდაზა: ნუ შეხვალ, ნუ ებანები, ნუ გამოხვალ, ნუ თრთი"-ო. რა თქმა უნდა, კრიტიკოსის მდგომარეობა უფრო კარგია, ვიდრე კრიტიკის ქვეშ მყოფისა. ეს არის ყოველი საზოგადო საქმის მეთაურთა ხვედრი, მაგრამ მე მაინც ვუსურვებ ახალი კოოპერატიული ფურნის მეთაურთ, ნუ შეუშინდებიან საქმეს, გაუძლვენ მას და, იქნებ საზოგადოებამ დღეს მაინც, როდესაც ქალაქი განიცდის პურის კრიზის, შეიგნოს კოოპერაციის ნამდვილი მნიშვნელობა, მოეკიდოს უფრო თანაგრძნობით საქმეს და ახალ ფურნეს არ ეწიოს ძველი ფურნის ხვედრი.

დასასრულ მოვახსენებ ერთხელ კიდევ მკითხველს, რომ ეს წერილი არის გამოწვეული სურვილით სიმართლის აღდგენისა და არა პოლემიკისა.

**ივ. პურადაშვილი.**

## ჩვენებური უგადრუკობა.

—:—

რუსეთის ცნობილი პუბლიცისტი დ. პისარევი თავისი ნაწერების ერთ ადგილს ამბობს, რომ ზოგი კაცი სწერს იმისთვის, რომ სწეროს, ხოლო იმას კი არ დაგიდევს, თუ რას სწერს, ოღონდ ქაღალდი გადააჭრელოსო.

სწორეთ ეს ადგილი დ. პისარევის ნაწერებისა გამახსენდა, როცა ლადო ბზვანელის პასუხი წავიკითხე ჩემი წერილის შესახებ „სამშობლოს" № 52-ში.

ამას წინეთ გაზ. „სამშობლოს" № 47-ში მე ვსწერდი, რომ ჩვენს დიდებულ წინაპართ დიდებული გალობა შეუქმნიათ მეთქი. მაგრამ, თუმცა ის წინათ ჩვენი სულისა და გულის დამატკბობელი იყო, დღეს ევროპიულათ განვითარებულ სმენას ვერ აკმაყოფილებს და საჭიროა მისი განვითარება, გაოთხხმოვანება-მეთქი. ამით მსურდა საზოგადოების და, უმეტესათ კი, გალობის მცოდნეთა ყურადღება მიმექცია ამ მოვლენისათვის, რათა გალობის საქმე წინ წაწეულიყო.

ბ. ლადო ბზვანელი ამ საკითხში პრინციპიალურათ გვეთანხმება, მაგრამ ჩემ ნათქვამს თავისებურ დასკვნას უკეთებს და გვეკითხება: „მაშ ვიდრე გადაკეთდებოდეს, სჯობს ხმა არ ამოვიღოთ და ისიც, რაც გვაქვს ხელიდგან გავაგდოთ, დავკარგოთო"?!.

ვინ მოგახსენათ ხელიდან გააგდეთ, დაკარგეთ რამეო!.. დაკარგეთ კი არა გაამშვენეთ, გაანვითარეთ, თორემ მოსპობა მოელის-მეთქი, რადგანაც დღეს კონკურენციის წყალობით გამარჯვებული ის გამოდის, ვინც თანამედროვე იარაღით, თანამედროვე ცოდნით აღჭურვება. ყველა უკეთესს ეტანება, უკეთესს ეძებს და უარესი არავის უნდა. თუ გვსურს, რომ ჩვენი გალობაც ვინმეს უნდოდეს, გააუმჯობესეთ, გაამშვენეთ და უთქვენოთაც თავის ადგილს დაიჭერს ცხოვრებაში.

ეტყობა, ბ. ლადო ბზვანელს ისიც სცოდნია, თუ მინამ მ. რ. ხუნდაძის მგალობელთა გუნდი, ორჯერ თუ სამჯერ, საკრებულო ტაძარში გალობას იტყოდა, მის კედლებსა და მლოცველებს ქართული გალობა სმენიათ. მაგრამ მას, რომ ერთხელ მაინც ენებებია და წირვა-ლოცვის დროს ეკლესიის კარებთან მაინც გაევლო, უეჭველად გაიგონებდა საკრებულო ტაძრის ქართულ მგალობელთა გუნდის ქართულ გალობას, რომელიც, თუმცა ძალიან სასიამოვნოთაც გალობს სამ ხმაზე, მაგრამ ის ოთხხმოვანი გალობის მაგიერობას მაინც ვერ იზამს, როგორც უბრალო რეპორტიორი პუბლიცისტის ადგილს ვერ დაიჭერს.

ქართული მგალობელთა ეს გუნდი დღეს და გუშინ კი არ არსებობს, არამედ დიდიდგან თვით ქუთაისის საკრებულო ტაძრის არსებობისა და იარსებებს კიდეც. მაგრამ ბ. ლ. ბზვანელმა ეს ცილიძწამებაც არ გვაკმარა და რაღაც შეთქმულობისა და ღალატის შესახებ ეჭვი შეაქვს მ. ხუნდაძის მგალობელთა გუნდის დაშლის გამო და ისიც, როგორც თვითონ სწერს, „თვითონ საკრებულო ტაძრის კრებულის რომელსამე წევრზე" და თვითონ რო ვერას გამხდარა მ. ხუნდაძეს იწვევს საშველათ. მ. ხუნდაძე რათ ჰპირდება, როცა თავისი წერილის თავში თვითონვე პასუხს იძლევა: „არ გასულა დიდი ხანი და ეს გუნდი (მ. ხუნდაძის) დაიშალა. როდესაც გამოვკითხე გუნდის წევრთ მიზეზი, მიპასუხეს, რეპეტიციის (?) დროს ხშირად ჰკლდებოდნენ, თუ ლოტბარს (მ. ხუნდაძეს) ვთხოვეთ ბ. ფ. ქორიძის ნოტებზე გვეგალობა და იწყენაო (ხაზი ჩვენია). მაგრამ ამას ხომ ბ. ლადო ბზვანელი დ. პისარევისა არ იყოს „говоритъ для процесса говоренія"! არც მეტი, არც ნაკლები.

**დე—ზი.**

P. S. ეს წერილი უკვე დამზადებული გვქონდა, როცა ამავე საკითხის შესახებ „სამშობლოს" № 56-ში ბ. ელიკოს პასუხი წავიკითხე. უნდა მოგახსენოთ, რომ აქაც იგივე გაუგებრობაა, აქაც იგივე გადაკეთების შესახებ თანხმობაა, ხოლო განსხვავება იმაშია, რომ ავტორი გვევაჭრება: ათი წელიწადი, თუ მეტი ან ნაკლები დრო დასჭირდება ჩვენი გალობის ევროპიულათ გადაკეთებას, გამშვენიერებასო და მაშასადამე, როგორც ხედავთ, თვით აზრი გადაკეთების შესახებ მტკიცე და შეურყეველი რჩება. იქ თუ რამ საყურადღებოა საზოგადოებისათვის ეს ისაა, რომ, გარდა ფ. ქორიძისა, მ. ხუნდაძესაც აქვსო დამზადებული მასალა, მაგრამ მისი დაბეჭდვა ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა. ამიტომ გულწრფელათ ვურჩევთ მ. ხუნდაძეს ბლომათ დაამზადოს მასალა, არ დაგვიკარგოს ის და მოვა ის დროც, როცა თვითონ მას შეეხვეწებიან დაგვაბეჭდვინეო. ხოლო როდის იქნება ეს დრო და როგორ შევქმნათ მისი მომამხლოვებელი ხელის შემწყობი გარემოება ამაზე შემდეგში. *)

**დე—ზი.**

*) რედაქცია ამ საგნის გამო ყოველგვარ კამათს სპობს. ქართული გალობის შესახებ დაიბეჭდება მხოლოდ დასაბუთებული, პრინციპიალური წერილები.

**რედ.**

## დაბა-სოფელი.

**აბაშა** (სამეგრელო). 7 აპრილს ადგილობრივ ბოქაულის კანცელიარიაში მოხდა დაბის ვაჭრებ და დეპუტატთა კრება. ადგილობრივმა ბოქაულმა აუწყა საზოგადოებას: „დაბა ანტისანიტარულ მდგომარეობაში იმყოფება და საჭიროა დროზე შესაფერი ზომები მივიღოთ, რათა საყოველთაოდ გავრცელებულმა საშიშმა სენმა აქაც თავი არ იჩინოს"-ო.

ამის გამო ხანგრძლივ კამათის შემდეგ, კრებამ აირჩია რამდენიმე პირი სანიტარებათ აქიმ გ. ჯორჯიკიას მეთაურობით, რომელმაც დაავალა საზოგადოებას თუ რა ზომები უნდა მიიღონ „მომავალ ავათმყოფობის" თავიდან ასაცილებლად.

იმედია, აწი მაინც დამყარდება საჭირო სისუფთავე ჩვენ დაბაში.

— საუბედუროთ ჩვენი დაბის ინტელიგენცია ყოველ საზოგადო საქმეში ძლიერ უმოქმედობას იჩენს.

ეს რამდენიმე ხანია, რაც მათ მოილაპარაკეს პატივცემულ მგოსნის „აკაკის საღამოს" გამართვაზე და სისრულეში ჯერაც ვერ მოუყვანიათ.

მიზეზი—„ჩვეულებრივი" ძილია.

საჭიროა, თუ კი ოდესმე გვსურს სათაყვანებელი მგოსნის საღამოს გამართვა, ახლავე შევუდგეთ ამ საქმეს, სანამდის ადგილობრივ ვაჟთა და ქალთა სასწავლებლის მასწავლებლები დაითხოვდენ მოწაფეებს და წავლენ, რადგანაც ისინი როგორც ყოველთვის ახლაც დიდ დახმარებას გაგვიწევენ სცენის მოწყობისა და წარმოდგენის გამართვის საქმეში.

ინიციატორობა ამ საქმეში ეკუთნის ადგილობრივ ბიბლიოთეკის გამგეობას.

**დათიკო.**

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია
კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში
ალექსანდრეს ქუჩა, ტფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.
კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.
კატალოგები უფასოთ —— თ.

გამოვიდა და იყიდება
ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში
თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.
ფასი 60 კაპ. წ.

თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.
1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ. „იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ. „იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება: „Поэтъ Грузіи Акакій" 10 კ.
9) კ. მაჭავარიანი: „Цѣлебные минеральные источники" въ Кутаисск. губ.—ფ. 20 კ.

აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.
1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით · 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება სადვთო სჯულის სწავლებაზე · 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.
12) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია.
რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.